

**ფსიქიკური ჰენეროლოგიის ეროვნული ცენტრის**

*აქმაწახი 2*

AntHOLOGy 2

**THE NATIONAL CENTRE OF MENTAL HEALTH**



WWW.ncmh.ge  
2010



**ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის  
ალმანახი 2  
ANTHOLOGY 2**

**The National Centre of Mental Health**

**ბამომცემელი და მთავარი რედაქტორი**  
ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის  
გენერალური დირექტორი **ბოჩა ბაკურაძე**

**EDITOR-IN-CHIF AND PRODUCER**  
General Director of the National Centre of Mental Health  
**GOCHA BAKURADZE**

**ტექნიკური რედაქტორი**  
სოციალური სამსახურის უფროსი **რევაზ ხვედელიძე**  
**TEKHNICAL EDITOR**  
the Head of Social Service **REVAZ KHVEDELIDZE**

**ტექსტის ინგლისური ვერსია მოამზადა- ნანა მესხია**  
**Translated into English by-NANA MESKHI**

**რედაქტორი**  
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი  
**ცირა შვანგირაძე**  
Editor Manager Public Relations Service  
**TSIRA SHVANGIRADZE**

*სარედაქციო კოლეგია უღრმეს მადლობას უხდის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მთლიან კოლექტივსა და პაციენტებს „ალმანახი 2“-ის შესაქმნელად და გამოსაცემად გაწეული უდიდესი შრომისათვის.*

*Editorial Board greatly thanks to all the staff and patients of The National Centre of Mental Health for their great help.*



# ქვირფასოაქითხველო!



კიდევ ერთხელ მივიპყრობთ თქვენს გულისყურს და თქვენის ნებართვით, - „ალმანახს“ მეორედ შემოგთავაზებთ.

უპირველეს ყოვლისა, უღრმესი მადლობა იმისათვის, რომ გულით წაიკითხეთ, ღრმად ჩაწვდით და სულიერი თანაგრძნობა გაუწიეთ პირველად „სამზეოზე“ გამოსულ ალმანახს, ლექსების ავტორებსა და მათ „სევდანარევ“ შემოქმედებას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მთავარ პრიორიტეტად გვესახება ყველა პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ამიტომაც ჩვენ ვქმნით მათთვის – სინარულისა და იოტისოდენა იმედის მისანიჭებლად.

მიგვაჩნია, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები საზოგადოებისაგან მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ, რათა მათ მიეცეთ ღირსეული ცხოვრების უფლება; სწორედ, რომ „მათი მხარდაჭერის საქმეს“ ვემსახურებით და არ განვიხილავთ ამ გარემოებას, როგორც პატივისცემას მათ მიმართ.

სამწუხაროდ, არამცთუ საზოგადოებაში, არამედ, თვით ფსიქიატრიის კონსერვატიული ტრადიციების მატარებელ სპეციალისტებში, უაზროდ მიიჩნევენ ფსიქიკური დაავადების პრევენციას, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სოციალიზაციას: პაციენტის სრულფასოვანი ცხოვრებით სარგებლობის უფლებას და პაციენტის საზოგადოებრივ მუშაობას.

„ალმანახი პირველის“, გამოცემას საზოგადოება ნაირგვარი დამოკიდებულებით შეხვდა. ერთნი ფიქრობდნენ და თითოეული სტროფის წაკითხვისას ცრემლნარევი ღიმილით დასძენდნენ, რომ ფსიქიკურად დაავადებულ პირთა სულიერ სამყაროს ლექსი ნამდვილად ალამაზებს. მავანნი კი – სკეპტიკური მხერით აფასებდნენ „ლექსით გაცოცხლებულ დაუძლეველ ფსიქიკას“.

ჩვენ გვესმის რომ, ალმანახი 2-ის გამოშვებას, ისე როგორც ადამიანში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, საზოგადოება არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით შეხვდება, თუმცა დღეს თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს პრობლემები და დაავადებები, ისეთივე მიდგომას და მკურნალობას საჭიროებენ, როგორც ნებისმიერი სხვა... ფსიქიკური სიჯანსაღე ხომ ადამიანთა ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც ამგვარი მიდგომით პრევენცია და მკურნალობის კურსის გავლა, გზას უხსნის პაციენტს დაძლიოს საზოგადოებრივი იზოლაციის პროცესი, რომელსაც თან ახლავს სოციალური სენი – სტიგმა და დისკრიმინაცია ...

დადგება ჟამი და „ალმანახს“ სწორედ ღრო და ჟამი შეაფასებს.

პატივისცემით ბოჩაბაკურაძე

## DEAR READER

We'd like to attract your attention once more and with your permission we offer you “Anthology” made by patients for the second time.

At first we thank you for reading the text and expressed sympathy towards almanac, authors of the poems and their “melancholic” creative work presented for the first time.

At National Center of Mental Health the main priority is to improve mental health of patient, just for this purpose “we make for them” to cheer them up.

We consider that the people having mental disorders need much more support from society; just we serve their support and don't discuss their state.

Unfortunately, as society as well specialists with conservative traditions of psychiatry, consider that prevention of mental disease and socialization of mentally disordered persons: right of social work and valuable life, are meaningless.


The society accepted the publication of the “First Anthology” with different attitude. Some thought and after reading of each strophe they said with tearful smile that the poem really pretties the spiritual world of mentally disordered people, but somebody with skeptic view evaluated “impaired mentality revived with poem”.

We know that the society will meet the publication of “Anthology 2” as well as mental problems of per-sons, with nonhomogeneous attitude; thought today nobody doubts that these problems and diseases need the same approach and treatment as others... as mental health is the integrated part of human's health. The-refore, prevention and treatment will give the way to the patient to overcome social isolation process accompanying the disease stigma and discrimination...

The time will come and „Anthology” will be evaluated just through the time.

Sincerely yours, GOCHABAKURADZE

**ჰანკუნტა შემოქმედება**  
**Creative abilities of the**  
**patients**



## **ბერღიას უემოქველება**

„წარმოსახვითი სივრცე აბსტრაქტული ხილვებით“- დღეს ძნელად შეიძლება იპოვო ისეთი პოეტი, რომელიც თავისი უცნაური ხელწერით, მკითხველის ცნობიერებაში შთამბეჭდავ სტრიქონებს დატოვებს...

ამ ადამიანის ლექსების გაცნობისას კი, სამყარო მის წარმოსახვაში ხან იდეალურია, ხანაც ტრაგიკული, ზოგადი ხედვით, რთული.... ღირებულება, მისი თითოეული სტროფის რამდენჯერმე წაკითხვაც. ავტორს გააჩნია, საინტერესო შეხედულებები ცხოვრების აგ-კარგზე... თავისი ჩანაფიქრიცა და დამთრგუნველი გასაჭირიც კარგად ჩანს მისეულ სტრიქონებში... ახალგაზრდა პოეტის ლექსები გამორჩეულია შინაარსიანი რითმის გამოც; წაკითხვისას, დარწმუნებით, რომ რითმებში იბადება ავტორის ემოციური განცდების არაერთგვაროვნება... კარგახნიანი ფიქრის შემდეგ, ახალგაზრდა პოეტს ფსევდოსახელად „ბერღია“ შევარქვით.

### **სიცრუის სისადავე**

სივრცე წარმოსახვითი -  
აბსტრაქტული ხილვებით,  
ქმნიდა „იღბლის სადავეს“,  
„სიბნელის სისადავეს“...  
მე შენს გამო მითების  
რეალობა მომწყინდა,  
წარსულს ვათვალიერებ,  
„დარღვის შავ მორიელებს“  
ფრუქნი სიცარიელეს!  
წლებმა ფრესკებს გადარეს  
და ურემოდ გატარეს,  
ეს დუმილი გადამრევს...  
შენზე ფიქრიც გადამრევს!..  
მოგონება მშორდება,  
მინდა ვიქცე ყლორტებად,  
აღარ მშველის გოდება...  
აქ ყველაფერს ვამთავრებ!!!  
სივრცე წარმოსახვითი -  
აბსტრაქტული ხილვებით,  
ქმნიდა „იღბლის სადავეს“  
„სიცრუის სისადავეს“...



## ცხოვრების ისტორია

მიდიოდა ცხოვრება, ბოროტება ფარული,  
უდიდესი მასშტაბი ჰქონდა მასში ბნელ ნებას,  
ივსებოდა მოწყენით სული მომთაბარული,  
და ელოდა აღსასრულს, როგორც საშინელებას!  
    არაფერი ამქვეყნად სრულ სინარულს არ ჰგავდა,  
    წასულიყო მეზადეც, სიცოცხლის ნერგს არ რგავდა,  
    აწუხებდა შეგრძნება მტანჯველ სიმყუდროვისა...  
იყო მხოლოდ ტკივილი, დრო და გზა მაგიური...  
გზა, რომელმაც დაჰკარგა სამუდამოდ საზრისი,  
დავიწყების მცდელობა, გლოვა დასაძრახისი...  
ღამეების თენება ბრძოლა გაუსაძლისი....  
    ჰოდა, ამ სიბლანტეში აზრი გულს მოეჩია,  
    და დამთავრდა ეპოქა ზედაპირულ გრძნობათა,  
    გრძელდებოდა მარტივი, უსასრულო სერია,  
    გზასაცდენილ აზრების შეუთავსებლობათა!

## გარემო უქმნის განწყობას საფრთხეს

დილა გაახელს ავდრიან თვალებს  
და საღამომდე იგლოვებს წვიმა,  
საღამო შხამით სავსე თასს დალევს  
და ხვალ დილამდე მივა? – ვერ მივა!  
    მე ყოველგვარი სიმშვიდე მიჭირს,  
    დრო აადულებს „ფიქრის სამოვარს“,  
    თუმც ადარ მჯერა და მაინც ვიტყვი  
    გამოვა რამე, თუ არ გამოვა....  
გადაჭრილ მაჯას დატოვებს პულსი,  
ვერ დაასრულებს სისხლი დინებას,  
სიკვდილს მივეცი მყარი იმპულსი  
და სიცოცხლესაც მიეძინება!  
    სიკვდილისათვის? მე მზად არა ვარ,  
    სრულყოფილების ხომ მაქვს უფლება?  
    მე რომ უბრალოდ არამზადა ვარ,  
    თუნდაც ეს ნიშნავს თავისუფლებას!  
ამდენი ხანის ბორგვა გმირული,  
არ დასრულდება უბრალო რამით,  
„სამოთხისათვის ხმაგანწირული“  
თავს უსათუოდ მოვიკლავ ღამით!  
    ნაყოფიერი ღამე მქონდა და  
    დილით გადავწერ ამ ლექსაც საღამე,  
    აზრთა გუგუნის დგას კოლონა და  
    განწყობას უქმნის გარემო საფრთხეს...



## მსუბუქს გიწოდებ

მსუბუქს გიწოდებ, რადგან გეღვრება  
ცისფერი შუქი შენ სხეულიდან,  
და უსათუოდ გადაგეყრება,  
ბედნიერება ლურჯ სვეულიდან....

აღბათ ძვირფასი გქონდა სამოსი,  
და იმარხულე შენ ხელაღებით,  
მაგრამ გაწირე სული წამოსვლით,  
ძაღდატანებით და ვერგაგებით...

ველარ შეგცვალა წარსულმა დღემდე,  
რადგან ოცნება არ გაიკარე,  
უხილავ ქართა კარნახს მიენდე  
და თეთრად გახსნილს მიადექ კარებს!

იდექი დიდხანს, ფიქრობდი კვლავაც  
და ემოციით იყავი სავსე,  
ისევ უცნობი სურვილი გკლავდა,  
რომელიც ვერსად ვერ მოათავსე....

გაქცევა გსურდა, ოღონდ დამემდე,  
წინ ჰორიზონტი თრთოდა მირაჟში  
და შენ რომ ასე არ მაწამებდე,  
ას ლექსს დაგწერდი შენზე კვირაში....



შენზე ნანახ სიზმრების კოლექციას ვაგროვებ,  
მექანიკურ თარიღებს გაუხუნდათ ფერები,  
დამყარებულ კავშირთა პირამიდებს აგროვებს,  
უნაპირო მდინარე საოცარი ბგერების...

## მე სინანულით ველარ შეგცოდავ!

ეს შეღამება მიმატებს წყენას,  
მომისამბიმრებს მთვარის ნათება,  
გადავიწყებულ ლექსის მოსმენას,  
კვლავ შემახსენებს შენი ხატება...

ვერ მანუგეშებს ხმები გულისა,  
ისევ ღამეთა ბურუსში ვბოდავ,  
ამანთებს გრძნობა სინანულისა  
და სინანულით ველარ შეგცოდავ...



## გაჩერებ პროგრესს, ვამყარებ წესრიგს....

ვერ გავეჭვი, მაინც მე ჩემს ხვედრს  
და გულში სვედა, უფრო მეტია,  
გვერდს ვერ აუვლი განსაცდელს შემხვედრს,  
შენს არსებაში თუ ჩაეტია...

მე შენში ვცოცხლობ და შენში ვგოდებ  
და შენში ვეძებ - დაკარგულს ჩემს რიგს,  
გავიწყებ წარსულს, გაჩერებ პროგრესს  
და ამ ქაოსში ვამყარებ წესრიგს....

### ღამის პარმონია

ვხედავ, რომ ამ ღამესაც  
ძილი არ მიწერია,  
მესტუმრება ხანგრძლივი  
მბორგავი „არდანლობა“  
ვხევ ყველა ლექსს, რომელიც  
დღემდე დამიწერია,  
თითქოს მინდა დავხიო  
წარსულის მისტერია...  
არ მშორდება თავიდან  
შიში, იმ ბნელ ღამეთა,  
სიჩუმის ზედაპირზე,  
შენს სახებას დავფურცებ  
დღემდე დასაბამიდან  
ვერავინ ვერ გაბუდა,  
ეთქვა ჩემთვის, როგორც შენ  
მაინც გ ა გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ !  
აქ იწამა ქაოსმა,  
ჩემი უიმედობა  
ისევ შემომეჩვია,  
ისევ დამიახლოვდა....  
მსხვილი წვიმის წვეთები  
მიმავალ დღეს აცილებს,  
(იმ დღეს როცა დილიდან  
თავის მოკვლა მინდოდა)  
დიდი აჟიოტაჟით,  
უნებურად მამცირებს...  
სადღეგრძელო გაისმის  
იმ დაღეულ ღვინოთა!





სიცოცხლით დილის ნათებას შვენი,  
 ეს ფიქრიც მგონი შენზე სწრაფია,  
 დღეს შეიცვლება ცხოვრება შენი  
 და უმნიშვნელო ბიოგრაფია.

### **გათენდება მგონი**

წუხელ ცვრიან სახეს  
 სწვავედა კოცნის ძალა,  
 როგორც ჩიტი მახეს,  
 შიშიც გამეცალა.  
     წამოვდგები მზისთვის,  
     მინდა ხელის ხლება,  
     სულელი ვარ სხვისთვის,  
     სხვებს რა ენადვლება....  
 სიხარულის მსგავსი,  
 რაღაც გრძნობა მავსებს,  
 შენთან ყოფნის ფიქრი,  
 დიდხანს გამაწვალებს  
 თვალებს ძილი ყოფნის,  
 მზე არ ყოფნის თვალებს...  
     შენ კი, ალბათ ამ დროს  
     სინანულით, ნდობით,  
     თავს ღიმილით მანდობ,  
     გათენდება მგონი!..

### **როცა სიმარტოვე გრძნობებს ანადგურებს**

როცა სიმარტოვე გრძნობებს ანადგურებს,  
 აზრთა დაღაგებით არ ვარ ბედნიერი,  
 კმაყოფილებათა მსუბუქ ნაკადულებს,  
 კვლავ ცვლის ქაოსები უნდო და ცბიერი....  
     გვიან გახსენება ადრე დავიწყების,  
     შენთვის სათქმელადაც აღარ ეღირება,  
     უკვე მზურვალებით ბაგეც დაიწვების,  
     რადგან მოკრძალებამ სახეც შეგიღება.





როცა მარტი მიმოგაფრქვევს საფირონს  
 გაზაფხული მალე გადაჭენდება,  
 გაგახსენებ ბავშვობის სანაპიროს,  
 ყველაფერი თავად გაგახსენდება!

## **სპარტაკ უხუთელი**

სპარტაკ უხუთელი ფსევდონიმია იმ პიროვნებისა, რომელმაც, ფსიქიკური ჯანმრელობის ეროვნულ ცენტრში ყოფნის პერიოდში, არაერთი ლექსი დაწერა. მისი ლირიკული თემატიკა, მრავალფეროვანია. პოეტი უპირველესად, სამშობლოს სიყვარულს ანიჭებს უპირატესობას. ხოტბას ასხამს მსოფლიოს სხვა ცივილურ ქვეყნებს, მსოფლიოს ტიტან ადამიანებს. პოეტის მხატვრული სიტყვის ოსტატობა, ერთჯერ უკვე იხილა საზოგადოებამ პირველ აღმანახში.

ლექსს სახელწოდებით: „არ უნდა ჭამდეს ქართველს ქართველი“ მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორია აქვს. იგი დაწერილია ექსპრომტად , 2009 წლის 6 აგვისტოს, მაშინ, როცა სრულიად საქართველოში, რუსული აგრესიის წინააღმდეგ მიმართული „ერთობის კოცონი“ დაინთო..

ამ მასშტაბურ ინიციატივას, რომელსაც ახლდა ქართველი ხალხის პროტესტი რუსული ინტერვენციის წინააღმდეგ, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიც გამოეხმაურა, რასაკვირველია, პაციენტთა მონაწილეობით. ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ჩართვა, ხომ მათი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტია...

## **არ უნდა ჭამდეს ქართველს ქართველი!**

საქართველოა გმირთა ქვეყანა  
 თავზე დაგენათის უკვდავთ ნათელი,  
 დიდება, ვინაც გადაგვარჩინოს  
 არ უნდა ჭამდეს ქართველს - ქართველი!  
 საქართველოა ვარსკვლავთ ქვეყანა,  
 მთებს და ზღვებს შუა მარად ბრწყინდება,  
 ვინც საქართველო შეგვინარჩუნა,  
 მათი სახელი მარად დიდდება!  
 საუკუნენი გადის ბრძოლებში  
 ბარბაროსები კვლავ გვაზიანებს,  
 სააკაშივილი წინ მიუძღვება  
 მსოფლიოს ტიტან ადამიანებს!..



ჩვენ ვეფხვ-ლომების საქართველო ვართ  
და რაინდული სული გვინათებს  
იმპერიები წელში გავტყუებთ,  
ვერ აჩოქებენ ქართველ ტიტანებს!  
კვლავაც გაიფლის ათასწლეულნი  
და მტრებს დაამხოვს ჩვენი მშვიდობა,  
რომ განვაცვიფროთ მთელი სამყარო,  
რომ განვაცვიფროთ კაცობრიობა!  
თაობებისთვის ვიდგეთ ურყევად  
გავერთიანდეთ მტრების ჯინაზე,  
კვლავ ბედნიერი ქვეყნად გავხდებით,  
ამ მარადმწვანე დედამიწაზე!...

ჩვენს ქრისტიანულ შთამომავლობას,  
უნდა ავუნთოთ ყველამ სანთელი,  
ავლორძინდებით და გავმრავლდებით,  
უნდა იცავდეს ქართველს – ქართველი!  
კვლავ ავაშენოთ დედასამშობლო  
შუქი მოვსტაცოთ ზეცის მნათობებს,  
მთავარსარდლები კვლავ გაგვინათებს,  
ამ საქართველოს დიად თაობებს...

თავზე დაგვცქერის ვარსკვლავთ სამყარო  
და დედამიწას არყევს გმირობა,  
ვინ შეგვეჯიბროს უკვდავებაში?  
ჩვენ დაგვიმკვიდრდა მარადისობა!  
მარად თოვლშია კავკასიონი  
ჩვენი ქვეყანა ბრძენი მისნური,  
საქართველოა ულამაზესი,  
უძლეველი და ფანტასტიური!

## ღვთისმშობელი მარიაში

მთელ სამყაროს მოევლინა  
ღვთისმშობელი მარიაში,  
მან იესო ქრისტე შობა  
დედამიწის ღმერთი არი...  
ნაზარეთში ცას გასცქერდა  
კაცობრიობათა მხსნელი,  
კაცთა მოდგმას გაუჩინა,  
„სიკვდილისა დამთრგუნველი!“  
ცაზე ბრწყინავს ვარსკვლავები,  
ღვთისმშობელი ქრისტეს ფიცავს,



და სამყაროს იმედს აძლევს,  
გადარჩება დედამიწა!  
ნეტარების თვალთ გვხედავს,  
გაგვინათოს უნდა ბნელი,  
მონატული ფრესკებიდან  
ნათელს აფრქვევს ღვთისმშობელი!  
ხალხნო! მადლი არ დაგკარგოთ,  
ემშაკს ვძლიოთ, უფლის რწმენით,  
ღვთისმშობელი ვადღეგრძელოთ  
ქრისტე ღმერთი უძლეველი!

## საქართველოს პირველ ლედს სანდრა ელისაბედ რულოვს

სილამაზით ქალღმერთს ჰგავხარ  
მრავალ ერთა მნახავი,  
ერთგული ხარ საქართველოს  
ბრძენი, მზეთუნახავი!  
ვიცი გიყვარს საქართველო  
ვარდ-ყვავილთა მტვერია,  
ხმა ტკბილით და საამურით,  
ხოტბა, რომ გიმღერია...  
დღეს მგოსანი ლექსს მოგიძღვნი,  
ცუდი რაა ამაში,  
დედა-თბილისს გულს უხარებს  
ვარსკვლავების კაშკაში!  
შვილთაშვილებს მოსწრებოდე  
ქალბატონო სანდრა,  
საქართველოს ადზევების  
საუკუნე დადგა!  
იცოცხლე და იღვგრძელე,  
ქალი შენებრ სად არის?  
მითიური ქალღმერთი ხარ,  
და სიკეთის ზღაპარი...  
შენ მფარველობ საქართველოს  
თმებს გივარცხნით დაისი,  
პრეზიდენტის სიხარული,  
შვენი როგორც მაისი...  
გაზაფხულის მერცხალი ხარ,  
დამემობელი მკვლელების,  
ჰოლანდიის მიწამ გზარდა  
ოქროსფერი ხელებით.



და თბილისში ცხოვრობ ახლა,  
ქალაქსოფლებს აახლებ,  
ტრიბუნებზე გაწოდებენ  
ვარდებსა და ზამბახებს...  
შენ მკურნალობ ავადმყოფებს,  
ხარ სიცოცხლის მფარველი,  
არასოდეს დაგივიწყებს,  
საქართველოს მთა-ველი...

## თბილისს

### *გუძღვნი ჩემი ოცნების ქალაქს*

აღმოსავლეთს მზე გვიბრწყინებს,  
დედაქალაქ თბილისს ვხედავთ,  
უკვდავების შარავანდედს  
აფრქვევს ირგვლივ „ქართლის დედა“!  
არ ისვენებს ჩვენი მტკვარი,  
სამოთხისა ვხედავთ ვარდებს,  
თბილისელი მცხოვრებლები  
შესცქერიან ცის ლაშვარდებს.  
მეტეხი და გორგასალი  
ღვას ამაყად და ღვას მშვიდად,  
ძველისძველი სახლებია,  
ვით ეგვიპტის პირამიდა.  
ვხედავთ ულამაზეს ქუჩებს,  
ბაღებს, უბნებს სავსეს ღხენით,  
ვხედავთ ულამაზეს ქალებს  
და თბილისის ცქერით ვტკბებით.  
ვინც აშენებს დედაქალაქს  
მას სამშობლო არ ივიწყებს,  
ნუ გავეიდით საქართველოს,  
თბილისსა და ქართულ მიწებს.  
მთელ სამყაროს მირჩვენია  
„ქართლის დედა“ და თბილისი  
ღვთაებრივი დედაენა,  
იავნანა მარადისი.  
თბილისს ფეხით შემოვივლი,  
ჩანს ღრუბლების ქარავანი,  
მსოფლიოს საოცრებაა  
და ღმერთების სანახავი..



ჯადოსნურია მთაწმინდა,  
მგოსნებს გააქვთ თავის ღელო,  
დედამიწის მშვენება ხარ,  
ყველა დროთა სადღეგრძელო!  
მე თბილისი მაჯადოვებს  
და მსოფლიო მასზე მღერის,  
დედაქალაქ თბილისს ვაშა,  
ვიყოთ მარად ბედნიერნი.  
სიყვარულით ავამაღლოთ  
სიცოცხლის და ქების ღირსი,  
საქართველოს უკვდავება,  
დედაქალაქი თბილისი!

## **ქართველ ძალოვნებს გუძღვნი ქართულ პოლიციას**

მთები თოვლში გახვეულა,  
ბანდიტთა გეგმაც იციან,  
იცავს ახლა საქართველოს  
უძლეველი პოლიცია.  
ქურდია, თუ პროფესორი,  
ყველა ერთად ციხეშია,  
დიდი ბოროტმოქმედები  
ახლა ყველა მღვიმეშია.  
დღედაღამე მსახურობენ  
პოლიციის დაცვის ხალხი,  
ახალ მკვლევლობებსა ხსნიან  
განა არის დასაძრახი?  
მექრთამე, თუ ქურდბანდიტი  
ციხეშია ერთად ყველა,  
მედვედევს და პუტინს დრაკონს,  
გეწამს მოელის სახრჩობელა!  
გოლიათნი ვაჟკაცნი ხართ,  
დავგმობთ რუსთა იმპერია,  
ვაშა! ვუთხრათ პოლიციას,  
მის უძლეველ პოზიციას!..  
ჩვენს ვეფხვ-ლომებს გაუმარჯოს,  
მტერში მოყვასს განა ცვლიან?  
კვლავ დაიცავს ჩვენს სამშობლოს  
საქართველოს პოლიცია!....



26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, ყოველწლიურად აღინიშნება...

ხელოვნება თერაპიის წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ, ის ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც აქტიურად გადიან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსს.

საინტერესო იყო, 2010 წლის 26 მაისიც, იმ თვალსაზრისით, რომ სპარტაკმა კიდევ ერთი ლექსი მიუძღვნა საზოგადოებას, ამჯერადაც ექსპრომტად...

## ოცდაექვსი მაისი

მთლად გამწვანდა დედამიწა  
მზის შადრევნებს განიცდიან,  
საქართველოს გამარჯვების  
ოცდაექვსი მაისია.

მზე ჩადის და მზე ამოდის  
ჯადოსნური დაისია,  
საქართველოს გაუმარჯოს,  
ოცდაექვსი მაისია.

სისხლით გადაღებილ დროშებს,  
დღეს სულ ყველგან ვაფრიალებთ,  
გვიცავს ცივილიზაცია,  
ბედის ბორბალს ვატრიალებთ.

ქართველებო, უძლეველნო!  
გმირობა და ხალისია,  
კვლავ დავიცვათ საქართველო  
ოცდაექვსი მაისია.

ტიტანური საქართველო  
მშვიდობისთვის იბრძვის ახლა,  
გვსურს გავმრავლდეთ ქართველები,  
რომ არ დაფრჩეთ ნამოსახლად!

დედაქალაქ თბილისს ვაშა,  
ვხედავთ მთებზე რა ნისლია!?  
შრომით , გარჯით გადავრჩებით  
გამარჯვების მაისია.....



## მთაწმინდა

შარავანდელით მოსილო!  
მარად – მთავ, წმინდავ!  
ღირსი გაუხდი უკვდავების ადამიანებს,  
ჩემს პოემებსაც ქართველთ მგოსნის სისხლი აწვიმდა,  
მეც შენთან მოვალ, მაგრამ ჯერ ბევრს დავაგვიანებ ...  
ბუნებრივი სტიქიონნი გვებრძვიან,  
წარღვნას, ქაოსს, არ აქვს ჩვენთან „სამზღვარი“,  
როდის იყო, მგოსნებს რომ გვეწმინდა  
სიკვდილის და, ანდა თეთრი ჭაღარის!  
მთაწმინდაზე ღრმა ძილშია მგოსნები,  
არ მოესმით ხმა ბელადთა არწივთა,  
თბილისს თავზე ამყად გადასცქერის  
„მოკვდავების საუფლო“ – მთაწმინდა!  
ვერკინებით იმპერიებს, ქაოსებს,  
გზებს გვინათებს ახალგაზრდა თაობა,  
მენატრება თბილისი და მთაწმინდა,  
და უმისოდ ეს სიცოცხლეც არ მინდა!

## ადამიანი

სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ მოგვივა,  
ხან ეკლებით და ხან კი იანით,  
ერთი ვირწმუნოთ დედამიწაზე,  
მხოლოდ რომ დავრჩეთ ადამიანი!





# აოლონელ ხალხს!

ეს ლექსი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელით, ტრაგიკულად დაღუპულ, ქართველი ხალხის მოძმე ერს და მის ეროვნულ გმირს, პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტს-ბატონ ლეხ კაჩინსკის მიეძღვნა...

ეროვნული ცენტრი უერთდება მსოფლიო ტრაგედიას და პოლონეთის პრეზიდენტის სულის უკვდავსაყოფად, „ალმანახში“ სპარტაკ უხუთელის ლექსს აქვეყნებს...

## ტრაგედია, რომელმაც მსოფლიო შეძრა

თვითმფრინავით მიფრინავდა  
ლეხ კაჩინსკი ევროპაში,  
სიკვდილი ვერ აიცილა  
ჩამოხრუნულა მზის კაშკაში!  
ცოლთან ერთად დაიღუპა,  
მას უნდოდა ჩვენთან ყოფნა,  
ნაადრევად გარდიცვალა,  
მოხდა დიდი კატასტროფა....  
დღეს მსოფლიოს ხალხი გლოვობს  
სიკვდილი ხომ თავხედია,  
დაგვეღუპა მეგობარი,  
გვიმპიშს მისი ტრაგედია!  
ის იბრძოდა მშვიდობისთვის,  
მოთმინებით და სიმშვიდით,  
მას მსოფლიო პატივს სცემდა,  
იყო „ომთა მენამრიდი“  
ლეხ კაჩინსკი გმირი იყო,  
პატრიოტიც – მეტი სხვაზე,  
კატინისთვის დაიღუპა,  
გლოვა იყო პლანეტაზე...  
მათი სულის სადიდებლად,  
ჩვენ ტაძრებში ვანთებთ სანთლებს,  
დედამიწის ყველა ხალხმა,  
ლეხ კაჩინსკი გაამართლეს....  
პოლონეთის ეროვნულ გმირს ,  
მის სულს პატივს აგებს ხალხი,  
გლოვის ზარს სცემს ვარშავა და  
მთელს მსოფლიოს გადასახის!..



## საფრანგეთს

ოჰ, საფრანგეთო! უნდობ კამათელს,  
რომ აგორებდა ვიდაცა ჩარჩი,  
ათას მგელკაცთან შეგაკამათეს  
და მაინც ასე ღიადი დარჩი.

ახლა ნიკოლას სარკოზს შევხედოთ,  
მისი თვალები რა ღიადია,  
არის პარიზი ულამაზესი  
თავისუფლების განთიადია.

პრეზიდენტ სარკოზს ვუთხრათ სალამი,  
მასთან გამხილოთ ჩვენი დარდები  
და საქართველოს მხარდაჭერისთვის  
სულ ბედნიერნი იყონ ფრანგები...

ვხედავთ ეიფელს ნაგებს ტიტანთა,  
რა ხელმა შექმნა, რა ლამაზია,  
აქედან მოჩანს მთელი სამყარო  
დედამიწა და მთელი აზია!

მინდა საფრანგეთს ერთჯერ ვესტუმრო,  
მინდა საფრანგეთს გული დავანდო,  
მინდა პარიზის ყველა ქუჩებში,  
შევარდენივით გავინავარდო...

პარიზის ნახვა გულით მწყურია  
და საფრანგეთის მინდა ფერება,  
ქართველი ერის გვერდით დგომისთვის,  
მარადჟამს ჰქონდეთ ბედნიერება!

## მკურნალი ქალი

სიცოცხლის ვარდი - მკურნალი ქალი!

ღვაწლი?- დიდია ღვაწლი!

აზრიც და ფიქრიც,

სნეულ სხეულს მკურნავს და წვდება,

ოჰ, ნეტავ, ნეტავ!..

მშვენებით მკურნავს,

ლამაზი ქალი - ხილული დარდი!

სიტურფე მიდის, სიტურფე რჩება!

ცხოვრების დარდი - მკურნალი ქალი!

აზრიც და ფიქრიც,

ოჰ, ნეტავ, ნეტავ!



## ხარობს სამყარო...

შენ მეკითხები დაბადების თარიღს ძმობილო,  
მაგრამ რა გითხრა, შენც ჩემსავით წარმოშობილო!  
სამყაროს შექმნით, ვინ რა იცის რა სახე მანდა,  
მე დავიბადე, მაშინ როცა სიცოცხლე გაჩნდა...

მეც ვეკითხები ტიამიტსა ორგზის თარიღებს,  
ვერც ის მპასუხობს, ვერც ის ამბობს და ხმას არ იღებს,  
ჩვენ მივადწიეთ ცის კაბადონს – აზრით და მტკიცით,  
მაგრამ დარჩება აუხსნელი მარად ის იქსი...

თვით ვარსკვლავეთი, თვით სამყარო, მარად მრუდია  
და დაბადების თარიღებიც ვარაუდია!..

თუ სახრჩობელას ვერ მიწვდები, როგორ ჩამოხსნი?  
ამ გამოცანას კაცთა მოდგმა განა ამოხსნის?!

ხალხისთვის ვიყოთ და შევიძლოთ მათთვის წყალობა,  
ყველას ვაღიარებ, რომ დავიცვათ შთამომავლობა!

ვიყოთ ვაჟკაცი, გაბედულნი, მტრების ჯინაზე  
და შიშის თავზარს ვსცემდეთ ჩვენს მტრებს დედამიწაზე!

ეს საქართველო დედამიწის ხალხთა შეგებაა

და წინაპრების ოცნება და უკვდავებაა,

ღამაზმანთა და ანგელოზთა ოქროს რთველია,

ეს საქართველო უკვდავი და უძლეველია...

თვით პროფესორი და თვით ქურდი ერთად მარხია,

კაცობრიობა ერთ ფანჯრიდან დასანახია,

ბოროტებით და შუღლით ქვეყნად არა გამოვა,

დედამიწისა მნათობელი – მზე, კვლავ ამოვა!

## გალაქტიონი

ხარ პოეზიის მამამთავარი,

სადაც მთები ჩანს და ჩანს რიონი,

შენ პოეტების მეფედ გიცანი

ბრძენი ტაბიძე გალაქტიონი!

კლასიკოსების დარჩი სიაში,

უკვდავთა დროშა რომ არ დახარო,

შენ შეუყვარდი კაცობრიობას,

და განაცვიფრე ლექსით სამყარო....

თუ „მე და დამე“ ისევ მძინვარებს,

არ გელოდება „მერი“ პარიზში,

მთაწმინდაზე ხარ დასვენებული,

სხვა ქარიშხლების ხმები გაისმის...



გრძნეული ღოცვით ხელებაწვდილი,  
როს ბუმბერაზმა გადმოიხედე,  
ეს ხომ ახალი საქართველოა,  
არ დაგიკარგავთ მგოსანს იმედებს!  
გახსენებს ვანი, ჭყვიშში სოფელი,  
სად არგონავტთა ნავსაც უვლია,  
მსოფლიოს თვალში შენ არ მოკვდები,  
შენი სახელი უკვდავქმნილია!

*სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, ის რომ, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ცხოვრების მეტ დროს, სამკურნალო დაწესებულებაში ატარებენ. ცხადია, სწორედ, აქ იქმნება მათი „ყოველდღიურობა“ და ის სამყარო, რომელიც რჩეული ადამიანების გარეშე, სავსებით წარმოუდგენელია. ამიტომაც, ელიან ისინი ახალი დღის გათენებას დიდი სასოებით, რათა მათთვის სასურველ ადამიანებს შეხვდნენ, ხოლო შემდეგ ისინი- ლექსის „მუზებად“ აქციონ.*

*„ალმანახი პირველი“ ცნობილი იყო ასეთი ხასიათის ლირიკით... დაწესებულებაში მოღვაწე ადამიანებს, თავად ამ დაწესებულების ბენეფიციარები უძღვნიან ლექსებს...*

*ხვალინდელი დღე, ხომ მათთან ერთად თენდება?!...*

## **გოჩა ბაკურაძეს ეძღვნება ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთგულნი ცენტრის გენერალურ დირექტორს**

თქვენ აღგზარდათ ქუთაისმა,  
თქვენში ღმერთის ძალა მოსჩანს,  
მოეფლინეთ დედამიწას  
ბრძენი ბაკურაძე გოჩა!  
საავადმყოფოს დირექტორი  
პაციენტებს აცდენთ სიკვდილს,  
ყველა გამოაჯანმრთელე  
და გასწიეთ შრომა დიდი.  
სულბლიერი და ვაჟკაცი,  
ხალხის გადარჩენას ცდილობ,  
გენიოსი ქართველი ხარ,  
პატრიოტი საქართველოს.  
შვილთაშვილებს მოსწრებოდე,  
ვიცი კურნავთ ყველა სნეულს,



საქართველოს სასახელოდ  
 აბრწყინებდე ათასწლეულს.  
 ღვთისმოყვარე, „ქართლის მცველი“  
 შენ იცოცხლებ დიდხანს გოჩა!  
 ჩვენს მტრის თავზე ვაფრიალოთ,  
 საქართველოს წმინდა დროშა...  
 მედიკოსებს გაგიმარჯოთ,  
 მედიკოსებს ვარსკვლავთ კრებულს,  
 ჩვენი ქვეყნის ანგელოზებს  
 ბოროტ სენთან გამარჯვებულს...  
 გოჩა ბაკურაძეს ვაშა!  
 ვიცი, გიყვარს ჩვენი ერი,  
 სულ ხარობდე ქვეყანაზე  
 და სულ იყავ ბედნიერი...  
 დღეს მგოსანი ლექსს გიგალობ,  
 ერის უწმინდესო მცველო,  
 შენს ამაგს ვერ დაგივიწყებ,  
 სულ მინდა, რომ იდღეგრძელო!

*„ლექსად ნათქვამ ხატოვან სიტყვას“, ჩვენს ცენტრში მარტო პაციენტების ავტორობით როდი მოისმენთ... ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ახლო-ნათესავები, ხშირად გამოხატავენ ადამიანურ მადლიერებას, დაწესებულების წარმომადგენელთა მიმართ. ამის უდაო მაგალითია, ის ბარათები, რომელიც მოიპოვება დაწესებულების განყოფილებათა საინფორმაციო ყუთებში.*

*პაციენტის ახლო-ნათესავმა, ვინმე ნ. გოგავამ საკმაოდ საინტერესო და სრულფასოვანი ლექსი მიუძღვნა ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს, მადლიერებისა და კეთილდამოკიდებულების ნიშნად...*

## **ბატონ გოჩა ბაკურაძეს!**

საქმე საუბრობს მუდამ კაცზე,  
 რად გინდა დავა,  
 წლები წლებს მისდევს...  
 და ეს წლები როდესაც გავა...  
 როცა შეხედავ რა შექმენი, რითა ხარ კარგი...  
 თუ მედროვეთა ხსოვნაში დარჩი,  
 მუდამ კაცი ხარ! გინდ გავიდეს წელი ასი...  
 ხარ ბედნიერი,  
 რათა გერგო ღვთის მადლი წილად,  
 ზეგარდმო მადლით და დიდებით იმგვარად ბრწყინავ,  
 შენს სრულქმნილებას არ სჭირდება ვაშა და ტაში,  
 ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც შენ გაჩნდი!



## **თამაზ ლომთაძეს**

### **გენ. დირექტორის პირველ მთადგილეს**

საქართველოში შობილხარ  
მამულიშვილო თამაზი,  
ვიცი რომ გიყვარს სამშობლო,  
ჩვენი მთები და არმაზი!  
დღეს ახალ საქართველოში,  
რანდთა დასი ბრწყინვალეებს,  
სიცოცხლე შეგვინარჩუნე  
და ერკინები გრიგალებს...  
შენ გვამარაგებ ყველაფრით  
ჭირის და ლხინის მნახველი,  
არასდროს დაიკარგება,  
ჭაბუკო, შენი სახელი!  
და ასეთ გმირთა სახელებს,  
მუდმივად გულში ვინახავთ,  
შენ ეხმარები ლატაკებს,  
ქართულ ოჯახით ბრწყინავხარ!  
იცოცხლე, დედამიწაზე!  
სანამ ხარობდეს აქ ვაზი,  
გიმდერეს დედა-სამშობლო,  
წარმატებულ თამაზი!

## **მერაბ გიორსელიძეს!**

### **ექვნება ფსიქიკური ჯანმრთელობის**

**ერთგნული ცენტრის გენ. დირექტორის მთადგილეს  
ადამიანთა და შრომითი რესურსების მართვის დარგში**

ვიცი აგრესორები გპულთ  
ბორცტი და ვერაგი,  
გიყვართ მთელი საქართველო  
ქუთაისელს მერაბი!  
აქ ქუტირში დღედაღამე  
პაციენტებს პატრონობთ,  
უფლით, ზრუნავთ და უყვავებთ,  
თქვენ მერაბი ბატონო!  
დირექტორის დამცველი ხართ,  
მის ბრძანებებს ასრულებთ,



იცავთ წესრიგს, სისუფთავეს  
 გზას უნათებთ ასულებს.  
 ქუტირის საავადმყოფოში  
 აღტაცებით გელიან,  
 თქვენ მსახურობთ ვაჟკაცურად,  
 თქვენი შრომა ძნელია...  
 ყველგან ავტორიტეტი გაქვს,  
 გქონდეს უფლის წყალობა,  
 მერაბი! არ დაგივიწყებთ,  
 თქვენი შთამომავლობა.  
 თქვენ უყვარხართ მედიკოსებს,  
 იცავთ ნამდვილ ქართველებს,  
 საქართველოს სიყვარულში,  
 დღე და ღამეს ათენებთ!  
 პატარა ხართ, ვაჟკაცი ხართ,  
 გენიალურ აზრებით,  
 ვერ გატყვილებთ ბოროტები,  
 სამსახურში არ ცდებით!  
 დღედაღამე პაციენტებს,  
 იცავთ თავზე ადგახართ,  
 საქართველო აღორძინდეს  
 პატრიოტი მზადა ხართ!  
 მერაბ! ლექსი მოგიძღვენი,  
 გამგე რომ გაგახარო,  
 ღვთისმშობელმა გადმოგხედოს,  
 გლოცოს დედასამყარომ!

## **დუდარ სანაძეს!**

***მიუძღვნა გენ. დირექტორის მოადგილეს სამეურნეო დარგში***

ნეტავ იყოს ქვეყანაზე  
 სულ მშვიდობა, სულ დარი,  
 არ ისვენებს, სულ მუშაობს,  
 აქ სანაძე დუდარი.  
 მაღალია ვაჟკაცური,  
 მისი შრომა ძნელია,  
 ჩვენს სამშობლოს სადაც უჭირს,  
 იქ დუდარის ელიან.  
 გაგვიღიმებს „ჭკვას“ გვასწავლის  
 ებრძვის ბოროტმოქმედებს,  
 რომ დადგება სარდალივით  
 „ყველაფერ კარგს“ მოქმედებს.



აქ ქუტირში ხელმძღვანელობს  
ზის სადაც დგას ჭადარი,  
დუღარი სანაძისთანა,  
ნეტავ ქვეყნად სად არი?!  
შორს გამოჩნდა დიდი მთები,  
გზებზე სიცხე, მტვერია,  
დუღარის შთამომავლობა  
სამშობლოსთვის მდერიან...  
ხონის ხალხთა დამცველია,  
ყველას გვერდით მდგომია,  
თუ გაბრაზდა და გაცხარდა,  
შემართული ღომია!

## **ლელა კაკაბაძეს ექიმ-ფსიქიატრს**

ღამაზია ქუთაისში ქალბატონი ლელა,  
მისი ეშხით, სიღამაზით ოკენე ღელავს,  
არ მოკვდება არასოდეს მწამს ექიმი ლელა,  
მის თვალებში მზე და მთვარე, ცისარტყელა ელავს.  
ივნისია დღეს კოლხეთში და საშინლად ცხელა,  
დედამიწის მანათობლად გაჩენილა ლელა,  
როცა ლელა არსად მოჩანს, ვარსკვლავებო ბნელა!  
მე ვერასდროს დაგიფიწყებ, ქალბატონო ლელა!  
სადაც წავა მზის შუქს აფრქვევს ქალღმერთივით დაღის,  
დედამიწას გადაარჩენს მისი ოქროს ლანდი  
ლელას ტანში აგიზგიზდა ვარდ-ყვავილთა ფერი,  
როცა ლელას დავინახავ მე ვგალობ და ვმღერი,  
ქუთაისის სიყვარულო, საქართველოს ეშხო,  
შენ მარადუამს დიადი ხარ, მტერი ვერ შეგეხოს!

## **ცარო ჩიტორელიძეს ექიმ-ფსიქიატრს**

გახლავს ერთსახოვნების  
აუხსნელი განცდა,  
შენი რიდის სიმუქე  
შეუცნობელს მაღავს....





შენში არსი საწყისის,  
ყველა საზღვარს გასცდა,  
ანგელოზი შენს თავზე  
ფერმკრთალ ნათელს რკალავს....

(ბერდია)

*„ჭიათი ურკლი“ ფსევდონიმია იმ პიროვნებისა, რომელიც აქტიურად ჩაერთო მხატვრული სიტყვის თერაპიაში და რამდენიმე ლექსიც დაწერა... ვფიქრობთ, მკითხველი მოიწონებს მის სატრფიალო ლირიკას... საქმე ის განსვლავთ, რომ, როცა აღმანახი დასაბუჯდად გამზადდა, „ჭიათურელი“ უკვე აღარ იყო ჩვენი ცენტრის ბენეფიციარი. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ პაციენტი აქტიურად ერთვებოდა ფსიქო-რეაბილიტაციურ ღონისძიებებში, შედეგმაც არ დააყოვნა და... დღეს თავის ლჯახთან ერთად, ის ბედნიერად ცხოვრობს მის მშობლიურ კუთხეში...*

## შენი ჭირიმე

შენი ჭირიმე ქართველო ქალო,  
ვინც შენ გაძაგოს – არ გაიხაროს!  
შენ, უნდა კაცმა ლანგრით გატაროს,  
მთელი მსოფლიო შემოგატაროს!  
რომ დაინახოს მტერმა მავანმა,  
საქართველოში ვარდები ხარობს!..



## ედგენება ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთგულ ცენტრს

ლჰ, ღმერთო ჩემო! დიდება შენდა!  
რას ვიფიქრებდი, წარმოვიდგენდი კი- მე ამ თავში?  
რომ ასე მალე,  
ჯოჯონხეთიდან აქ მოვხვედებოდი-  
ვარდების ბაღში..



არ მოვიპარავ...  
არ მოვიპარავ მე არაფერს! და არასოდეს...  
ლღონდ ეს მინდა ყველამ იცოდეს,  
თუ არ მაჩუქებს, ან არ მათხოვებს,  
მოვპარავ წიგნებს, მოვპარავ ვარდებს....



ვარდისგან შევკრავ ბევრ თაიგულებს,  
ჩვენს ძვირფას ქალებს ჩამოვფრთხვებ,  
ხოლო წიგნებს კი სახლში წავიგებ  
და ჩემს ცხოვრებას გავიხსნისებ!...

## ***ინგა სენაკელი***

*ინგა სენაკელი ფსევდონიმია იმ შემოქმედი ქალბატონისა, რომელიც ძალიან კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის თითქმის ყველა შედეგს. უფრო მეტიც, თავისი ნიჭის წყალობით, იგი საუკეთესოდ თარგმნის ფრანგულიდან ქართულად - უდიდესი მწერლების მხატვრულ ტილოებს. მანვე თარგმნა ფრანგულ ენაზე გალაქტიონ ტაბიძის რამდენიმე ლექსი. გთავაზობთ ნაწყვეტს, მის მიერ ნათარგმნი მოთხრობებიდან.*

### **ანდრე მორუა**

#### **„ოთხშაბათის იები“**

მეკარე, შენი სორბიენს, ფრანგული კომედიის თეატრის მსახიობს აწვდის იის კონებს..

- რა კარგი სუნი აქვს!-ამბობს ის.

- ეს პოლიტექნიკური სასწავლებლის მსმენელმა მომიტანა.

ყოველ ოთხშაბათს, უკანასკნელი ანტრაქტის დროს, მეკარეს შენი სორბიენტან იის კონები მიჰქონდა.

მომდევნო კვირას, შენი არ თამაშობდა. ხუთშაბათს როცა მოვიდა, ამჯერად დამჭკნარი იის კონები, „ლოჟაზე“ იდო. თეატრიდან გასვლისას, შენი მეკარეს მიუახლოვდა:

- მითხარით, ბერნარ, კიდევ მომიტანა ახალგაზრდა კაცი იის კონა?

- დიახ ქალიშვილო... ეს უკვე მესამედ, ახალგაზრდა კაცი მაწვდის იის კონებს და მეუბნება „ქალიშვილ შენი სორბიენს,, და თან წითლდება.

- რატომ მოდის ყოველ ოთხშაბათობით?

- ოთხშაბათი დასვენების დღეა პოლიტექნიკური სასწავლებლის მსმენელებისთვის... ამიტომაცაა, ყოველ ოთხშაბათს პარტერები სავსე პოლიტექნიკური სასწავლებლის მსმენელებით. ერთ საღამოს შენი სორბიენი ეუბნება თავის მეკარეს:

- ბერნარ, მე მსურს, რომ პოლიტექნიკური სასწავლებლის მსმენელმა, მე თვითონ მნახოს.

მაგრამ თითქოს ოთხშაბათს და არც მომდევნო ოთხშაბათს, არავის უნახავს ახალგაზრდა კაცი და არც იები.

მალე შენიმ დატოვა პარიზი და საგასტროლოდ გაემგზავრა. როცა შენი სორბიენი გასტროლებიდან დაბრუნდა, მას დავიწყებული ჰყავდა მასზე შეყვარებული პოლიტექნიკური სასწავლებლის მსმენელი.

ერთ დღეს შენევერისაგან წერილი მიიღო, სთხოვდა პირად საქმეზე თქვენთან შეხვედრა მსურსო. პოლკოვნიკი შენისთან მივიდა. შვილის გარდაცვალების გამო,



მას ძაძები ემოსა. პოლკოვნიკი იმ ახალგაზრდა ვაჟის მამა იყო, რომელიც ერთი წლის განმავლობაში, იებს უგზავნიდა ჟენის...

„ აგერ უკვე 2 თვეა, ჩემი შვილი მოკლეს კუნძულ მაგადასკარზე“.

მის შვილს ანდრე ერქვა, ის გმირი საქმე იყო და ამიტომაც წავიდა კუნძულ მაგადასკარზე საბრძოლველად.

ჟენიმ ჰკითხა, სად იყო დასაფლავებული მისი შვილი. მთელი ცხოვრების მანძილზე ჟენი სორბიენი, ანდრეს საფლავზე იის კონებს აწყობდა...

## **ონორე დე ბალზაკი მწერლის ცხოვრებიდან**

დიდი ფრანგი მწერალი, ონორე დე ბალზაკი დაიბადა თურქეთში. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ შეისწავლა იურისპუდენცია და ლიტერატურა. 20 წლის ასაკში, უკვე კარგად ფლობდა მსოფლიო ლიტერატურას. მან სერიულად გამოაქვეყნა თავისი რომანები, რომელსაც წარმატება არ მოჰყოლია. დიდი შრომის შემდეგ, 1830 წელს გამოაქვეყნა „შაგრენის ტყავი“.

ონორე დე ბალზაკი თავდაუზოგავად მუშაობდა. ზოგჯერ ჩაიკეტებოდა 7 კვირა და დღეში 18 საათი შეუსვენებლივ წერდა. მიუხედავად ამდენი შრომისა, მას კავშირი არ გაუწყვეტია პარიზის სალონებთან. მწერლებს, მხატვრებსა და მუსიკოსებს შორის, მას ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა: ვიქტორ ჰიუგო, ჯორჯ სანდი, ეჟენ დელაკლუა, ფრანც ლისტი და ბევრი სხვა.

1832 წელს მან სრულიად უცნობი ქალისაგან ანონიმური წერილი მიიღო, რომელიც მისით აღფრთოვანებას გამოხატავდა. ეს იყო მდიდარი პოლონელი ქვრივი ქალი - ეველინა პანსკა. ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ, მწერალი უკვე ხვდებოდა გრაფინიას, ხან შევიცარიაში, ხან საფრანგეთში, ხანაც ჰოლანდიაში. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, პანსკამ თავისი ხელი და ფუფუნება შესთავაზა ბალზაკს, მაგრამ მწერალს დიდხანს არ დასცალდა სიმდიდრითა და ფუფუნებით დატყობა. ის 1850 წელს გარდაიცვალა.

ბალზაკის შემოქმედება დასათაურებულია „ადამიანური კომედიით“. მის შედევრებს შორის ცნობილია „მამა გორიო“, „დაკარგული ილუზიები“, „გობსეკი“ და ა.შ.

## **საბრალო ხალხი ნაწყევტი ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობიდან „ზღვის მაშერალნი“**

ღამე იყო ზღვის სანაპიროზე ... მეთევზის ცოლი ჟანა თავისი ქოხის წინ საქმიანობდა. ბავშვებს ეძინათ. ჟანა ყურს უგდებდა ზღვას, ის ფიქრობდა თავის ქმარზე, რომელიც ეს - ეს არის სათევზაოდ წავიდა მსუბუქი ნავებით.



ჟანა გავიდა თავისი კარავიდან, რათა მზერა გადაეკვლო ზღვისთვის, ბოროტია ზღვა, იგი მამებს სტაცებდა პატარა ბავშვებს.

მეზობელ კარავში ღარიბი ქვრივი ქალი, თავის ორ ბავშვთან ერთად ცხოვრობდა. ჟანამ ვერც ცეცხლი დაინახა და ვერც შუქი, გადაწყვიტა დაეკაკუნებია კარებზე, მას არავინ პასუხობდა. ჟანა შევიდა კარავში და დაინახა, ქვრივი ქალი საწოლზე მთლად დათეთრებულიყო ... იგი აღარ სუნთქავდა... საწოლის ახლოს ბავშვებს ეძინათ. ჟანამ წამოიყვანა ბავშვები და თავის საწოლში ჩააწვინა. მას ესმოდა თუ როგორ ღრიალებდა ქარი... ჟანა ფიქრობდა:

-რა უნდა ვუთხრა ჩემს საწყალ ქმარს?

ამ ფიქრებში იყო როცა მეთევზე შემოვიდა მთლად დასველებული.

-ისევ უიღბლო თევზაობა! თქვა მან.

-ჩვენი მეზობელი მოკვდა,- რა ეშველება მის შვილებს?!

-საბრალო ბავშვები!-წამოიძახა მეთევზემ,-მისმინე ჟანა, გააგრძელა მან კარგა ხნის პაუზის შემდეგ, ჩვენ ოთხი ბავშვი გვყავს, ორით მეტი არაფერს ცვლის ჩვენს ცხოვრებაში. შენ თუ გინდა ჩვენთან მოვიყვანოთ ისინი!

ჟანა წამოდგა ცრემლიანი თვალებით, გადასწია ფარდა და თქვა:

- აი, ისინი!

## აღფონს კარრი ბეთჰოვენის სიკვდილი

ბეთჰოვენი ბადენის ერთ-ერთ პატარა დასახლებაში მარტო ცხოვრობდა. ერთ დღეს მან მიიღო წერილი, რომელსაც თავისი ძმისშვილი წერდა და ბიძას სტუმრობას თხოვდა.

იმისათვის, რომ ფული დაეზოგა ბეთჰოვენს, გზას ფეხით გაუდგა. სადამოს, ის მიადგა ღარიბულ სახლს, სადაც დიდი პატივით მიიღეს და გემრიელადაც ივახშმეს. სახლის პატრონი მიუჯდა პიანინოს, მისმა სამმა ვაჟიშვილმა მოიმარჯვეს ინსტრუმენტები და დაკვრა დაიწყეს. დედა და ქალიშვილი აღფრთოვანებულნი უსმენდნენ.

ბეთჰოვენს არ ესმოდა ნოტები, მაგრამ ხედავდა გლეხების ემოციებს. როცა მათ დაამთავრეს დაკვრა, ბეთჰოვენი მიუახლოვდა მათ და უთხრა:

-ჩემო მეგობრებო, მე ძალიან უბედური ვარ, მეც აგრეთვე, როგორც თქვენ მიყვარს მუსიკა, მაგრამ ვაი, რომ არ მესმის ის...ნება მომეცით, წავიკითხო ნოტები. მან აიღო რვეული და როცა დაინახა, რომ გლეხები უკრავდნენ მის „აღფონტოს“ მან ტირილი დაიწყო, ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ მაინც თქვა:

-მე ვარ ბეთჰოვენი...

მთელი ოჯახი დიდის მოწიწებით შეიკრიბა მის გარშემო. ბეთჰოვენი ადგა, მიუჯდა პიანინოს, ნიშანი მისცა გლეხის ბიჭებს და ყველამ ერთად დაიწყეს დაკვრა.



მთელი ღამე ბეთჰოვენი დასიცხული იყო. წამოდგა ლოგინიდან. მან ჰაერის უკმარისობა იგრძნო და გავიდა სოფელში. ის გარეთ დიდხანს დარჩა, საშინლად გაცივდა და როცა შემოვიდა სულ მთლად გათოშილი იყო. მიუხედავად ექიმების თავდაუზოგავი მცდელობისა, მან განაცხადა, რომ დიდი კომპოზიტორი მალე აღარ იქნებოდა.

ეს მართლაც ასე მოხდა.

## გი დე მოხასანის „მენუეტი“ ნაწყვეტი

მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, როცა იურისპუდენციას ვსწავლობდი, თუმცა მიყვარდა, როცა დროს საინტერესოდ ვატარებდი. აი, მაგალითად, დილით ადრე ვდგებოდი და ლუქსემბურგის ერთ-ერთ ბაღში, სკამზე ვჯდებოდი და გაზეთს ვკითხულობდი. ზოგჯერ უცნაურ პატარა მოხუც კაცს ვხვდებოდი, რომელსაც ტანზე ესპანური თამბაქოსფერი რედენგონტი ეცვა, წითელი ყელსახვევითა და ფარფლიანი ქუდით. ის გამხდარი, ძალიან გამხდარი იყო. ამ კაცმა ჯერ ძალიან გამაოცა, შემდეგ დამაინტერესა. ერთ დილას, როცა ეგონა მარტო იყო, საოცარი მოძრაობა გააკეთა: რვეერანსი, ხტომა, იღიმოდა, თითქოს მაყურებლის წინაშე ყოფილიყო.

ის ცეკვავდა! მე გაოცებული დავრჩი და ვფიქრობდი: ჩვენ ორს შორის ვინ იყო გიჟი, მე თუ ის მოხუცი?

ის უეცრად შეჩერდა, გრაციოზულად. თავი დამიხარა და განაგრძო სეირნობა.

ყოველ დილით მოხუცი გულმოდგინედ ასრულებდა თავის სავარჯიშოს. ერთ დილას მე მას მივესალმე და ვუთხარი:

-დღეს კარგი ამინდია ბატონო!

ღიას ბატონო, საუცხოო ამინდია!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ მეგობრები გავხდით და მის ისტორიასაც გავეცანი.

ის ცეკვის მასწავლებელი იყო ოპერაში, ლუდოვიკო XV-ის დროს. როცა მას ცეკვაზე ელაპარაკებოდნენ, ის გაუთავებლად ლაპარაკობდა.

ერთ დღეს მოხუცმა მითხრა:

„მე მინდა გაგაცნო კასტრი- დიდი მოცეკვავე, თუ თქვენ ისურვებთ... ეს ბაღი არის ჩვენი სიამოვნება, ჩვენი სიცოცხლე. ესღა დაგვრჩა ძველი დროის მოსაგონებლად. მე და ჩემი ცოლი, სადილის მერე, აქ ვატარებთ დროს. რაც შემეხება მე, დილით ადრე ვდგები და გული აქეთ მომიწევს“...

საუზმის მერე, ლუქსემბურგის ბაღში, მე შევხვდი ჩემს მეგობარს, რომელიც ხელჩაკიდებული მოდიოდა ძალიან მოხუც, პატარა ქალთან. ეს იყო ელიზა კასტრი, დიდი მოცეკვავე.

ეს იყო მაისის თვე. ბაღი ცარიელი იყო.



-ამიხსენით, - ვკითხე ორივე მოხუც მოცეკვავეს,- რა არის მენუეტი?  
მენუეტი ბატონო, არის დედოფალთა ცეკვა და ცეკვების დედოფალი. გაიგეთ?!  
მოხუცმა ჰკითხა ელიზას:

-ელიზა, გსურს თუ არა ვუჩვენოთ მენუეტის ცეკვა ამ ახალგაზრდას?

ელიზამ გადახედა მოხუცს, შემდეგ სიტყვის უთქმელად წამოდგა და ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

ისინი მიდიოდნენ და მოდიოდნენ, იღიმებოდნენ, ირხეოდნენ და ხტოდნენ, როგორც სასაცილო თოჯინები... მე მინდოდა, კიდევაც მეცინა და კიდევაც მეტირა...

უეცრად ისინი შეჩერდნენ, ერთხანს უხმოდ იდგნენ, ჩაესუტნენ ერთმანეთს და აქვითინდნენ....

## კიურები

XX საუკუნის დიდი მეცნიერები –პიერ და მარი კიურებმა თავიანთი პირველი სამუშაოები დაიწყეს ურანით მიღებულ უცნობი ბუნების სხივებზე. მათ გამოაცალკევეს ეს ნივთიერება და უწოდეს რადიუმი.

პიერ და მარი კიურებმა, ასევე მათმა თანამშრომლებმა ჰენრი ბესკელელმა მიიღეს ჯილდოდ ნობელის პრემია.

1609 წელს პიერ კიური მანქანის ბორბლების ქვეშ აღმოჩნდა და უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა. მარი კიურიმ განაგრძო მუშაობა და მეორე ნობელის პრემია 1911 წელს მიიღო.

მათი ქალიშვილი ირენ კიური დედის ლაბორატორიაში შეხვდა რედრიკ ჟოლიოს. ისინი დაქორწინდნენ და ქმარს მარი კიურიმ ურჩია, ეტარებია გვარი ჟოლიო კიური.

ფრედერიკ და ირენ ჟოლიო კიურიმ ერთად იმუშავეს და გააკეთეს ბუნებრივი რადიაციული აღმოჩენა. მათმა შვილებმა კი –ხელოვნური რადიაციული.

1934 წ. კიურების ოჯახმა მესამეჯერ მიიღეს ნობელის პრემია

## გაუკაცის შემოქმედება

როცა ამ ლექსთა კრებულს ვკითხულობთ, ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა მიმართ სათუთი და გულთბილი დამოკიდებულება გვიჩნდება... შესაძლოა მათმა პოეზიამ ვერ მოიპოვოს „ქართული სიტყვიერების საგანძურისა და ფასდაუდებელი შედეგის“ წოდება, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ნააზრვეის საჯაროდ გამოტანას, მიზეზი მარტივად აიხსნება – რათა ჩვენ შევძლოთ ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა ცხოვრების მოქცევა, ასევე ვთვლით, რომ მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები ღია უნდა იყოს და არა – „გრიფით საიდუმლო“...



პოეტი, რომლის ლექსებს აქვე შემოგთავაზებთ სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკია, მისი შემოქმედების მთავარი მოტივი ორიენტირებულია, მხოლოდ კეთილშობილურ გრძნობებზე – სიყვარულსა და ვაჟკაცობაზე... მას ფსევდოსახელად „ვაჟკაცი“ გავარქვით...

## სახოტბო ვაჟკაცობაზე

ვაჟკაცს უხდება ბრძოლა და  
სხარტი, მოქნილი სიმარდე  
უკან არასდროს დაიხევს,  
აღჭურვილია პირამდე...  
მას დაკვირვება მართებს და  
დალატში არვის იმეტებს...  
ბრძოლის დროს მიზანს ამართლებს,  
მომავლის რწმენით იმარჯვებს.  
ხშირად მოიგებს ომებში,  
ყველას ის ჯობნის ტოლებში.



სიყვარული? - გულის აღბერაა!  
სიყვარული? - სულის შეკვრაა!  
უზადოდ დიდი მონატრებაა,  
კელაპტარივით ნაზი გრძნობაა!

## სიყვარულის გამოცანა

სიყვარული წამიერი სიხარული  
მას თან ახლავს მიწიერი სინანული,  
მისი მოსვლა ახდენილი სიზმარია,  
დაგშორდება? დარდია და ვარამია.  
გრძნობა როცა შენთან მოვა,  
სიხარულით აივსები,  
ფრენით ცაში აიჭრები,  
არასოდეს დაიღლები...

## სიტბო

ძალიან შეგთხოვ გამითბე გული  
და გევედრები მაჩუქე სული,  
იყავი ჩემთან, არსად წახვიდე,  
გამილამაზე სამყარო სრული...



სულ ვიჭუკჭუკოთ მე და შენ უნდა!  
არასდროს დავრჩეთ ეულად, მწუხრად!  
მიყვარხარ! გითხრა ხმამაღლა უნდა,  
ბედნიერება ყოველთვის მსურდა!..

## **ეძღვნება სიყვარულის აზრს**

დრო როცა მოვა ჩაგეკონები,  
შენს მეტს არავის მოვეფერები,  
სიყვარულისთვის გეძახის გული,  
შენთან ცხოვრება არ არის რთული!  
    ლამაზ მკლავებზე დავიდებ ბინას,  
    შენს მოპოვებად წამებაც ღირდა,  
    მინდა გეფერო მთელი სიცოცხლე—  
    ჩემო ლამაზო — შენთვის ვიცოცხლებ!  
თუკი როდესმე შეგხვდები კარგო,  
მე მხოლოდ შენი ვიქნები მარტო,  
წლები გავა და ჩვენ დავბერდებით  
რწმენას, მომავალს მსურს გაუმარჯოს!  
    ოცნება, ფიქრი თითქმის ერთი გვაქვს,  
    სინარული კი ორივეს გვათოვს,  
    სიბრძნეს ვკითხულობ მე შენს თვალებში,  
    ფუჭი ღალატი არასდროს მართობს...  
გაავდრებულა!.. აღარ ჩანს კვალი,  
ზღაპარს მიაბობს საღამოს ქარი!



# ს ა რ ჩ ე ვ ი

## **ბერლიან შვირშვილები**

სიცრუის სისადავე	5
ცხოვრების ისტერია	6
გარემო უქმნის - განწყობას საფრთხეს	6
მსუბუქს გიწოდებ	7
●●● (შენზე ნანას სიზმრების კოლექციას ვაგროვებ...)	7
მე სინანულით ველარ შეგცოდავ!	7
ვაჩერებ პროგრესს, ვამყარებ წესრიგს...	8
ღამის ჰარმონია	8
●●● (სიცოცხლით დღის ნათებას შვენი...)	9
გათენდება მგონი	9
როცა სიმართლევ გრძნობებს ანადგურებს	9
●●● (როცა მარტი მიმოგაფრქვევს საფირონს)	10

## **სპარტაკ უსუთელი**

არ უნდა სჭამდეს ქართველს ქართველი!	10
ღვთისმშობელი მარიაში	11
საქართველოს პირველ ლედს სანდრა ელისაბედ რულოვს	12
თბილისს. <i>გუძღვნი ჩემი ოცნების ქალაქს</i>	13
ქართველ ძაღლოვნებს. <i>გუძღვნი ქართულ პოლიციას</i>	14
ოცდაექვსი მაისი	15
მთაწმინდა	16
აღამიანი	16
პოლონელ ხალხს	17
ტრაგედია, რომელმაც მსოფლიო შეძრა	17
საფრანგეთს	18
მკურნალი ქალი	18
ხარობს სამყარო...	19
გალაკტიონი	19
გონა ბაკურაძეს!	20
ბატონ გონა ბაკურაძეს!	21
თამაზ ლომთაძეს. <i>გენ. დირექტორის პირველ მოადგილეს</i>	22
მერაბ გიორხელიძეს!	22
დუდარ სანაძეს!	23
ლელა კაკაბაძეს!	24
ცარო ჩიტორელიძეს.	24

## **ჭიათურელი**

შენი ჭირიმე	25
ედღვნება ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს	25
●●● (არ მოგიპარავ...)	25

## **ინგა სენაქელი**

ანდრე მორუა. „ოთხშაბათის იები“	26
<i>ონორე დე ბალზაკი. მწერლის ცხოვრებიდან</i>	27
საბრალო ხალხი. <i>ნაწყვეტი ვიქტორ ჰიუგოს</i>	
<i>მოთხრობიდან „წიგის მაშვრადნი“</i>	27
ალფონს კარრი. ბეთჰოვენის სიკვდილი	28
გი დე მოპასანის „მენუეტი“ ნაწყვეტი	29
კიურები	30

## **ვაჟასისი შვირშვილები**

სასოტბო ვაჟკაცობაზე	31
●●● (სიყვარული? - გულის აღძვრება!...)	31
სიყვარულის გამოცანა	31
სიბბო	31
ედღვნება სიყვარულის აზრს	32
ახლო ხედით მოვლენები და ისტორია	33-47
ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი დღეს	48-65